

გაზეთი ბეჭედი „ვერსია“ ერთი

# ვერსია



№34 (1675) 13 — 19 სექტემბერი ოთხშაბათი 2023 წელი

1 ლარი

ყოველკვირეული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი [www.versia.ge](http://www.versia.ge)

## ჯანდაცვა და სოციალური პოლიტიკა პრემიერ-მინისტრის ანგარიშში

ირაკლი ღარიბაშვილი: „ხარისხიანი და საყოველთაოდ ხელმისაწვდომი, სოციალური სამართლიანობის პრინციპზე დაფუძნებული ჯანმრთელობის დაცვის სისტემის შენარჩუნება და შემდგომი განვითარება ქვეყნის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია“

## პრეზიდენტის დაწყევლილი სავარძელი



რატომ ვისვრით ბარ-ბეიმით არჩეულ მთავარსარდლებს სანაგვეზე



## „ეს იქნება კატასტროფა!“

ვახტანგ ძაბირაძის პოლიტიკური რჩევები ოპოზიციას

## „ჭეშრ ადრეა!“



იქნება თუ არა პრემიერობის კანდიდატი და რას ამბობს ენმ-ში არსებულ უთანხმოებაზე გიორგი ვაშაძე

სტიქიის ზონაში სამძებრო-სამაშველო სამუშაოები უწყვეტ რეჟიმში გრძელდება – გაშვალა კიდევ ერთი ცხედარი იპოვეს



შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მეხანძრე-მაშველების მიერ, რაჭაში, მდინარე ჭანჭახის კალაპოტში, კიდევ ერთი ცხედარია ნაპოვნი.
ონის მუნიციპალიტეტში, სტიქიის ზონაში, სამძებრო-სამაშველო სამუშაოები უწყვეტ რეჟიმში გრძელდება. ამ დროისთვის სტიქიის ზონაში აღმოჩენილია 32 ცხედარი და ერთი პირის ძებნა აქტიურად მიმდინარეობს. ღონისძიებაში ჩართულია შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ყველა შესაბამისი დანაყოფი, ასევე მძიმე ტექნიკა, დრონები, მცურავი საშუალებები და კინოლოგთა ჯგუფი.

სტიქიის ზონაში სამაშველო ღონისძიებები მთელი ღამის განმავლობაში გაგრძელდა



შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსმა თემურ მღებრიშვილმა, გურიის რეგიონიდან, სტიქიის ზონიდან, მედიასთან შემაჯამებელი კომენტარი გააკეთა.
მისი თქმით, სალიკვიდაციო სამუშაოები მთელი ღამის განმავლობაში გაგრძელდა.
„ამ დროისთვის, მიმდინარეობს სალიკვიდაციო სამუშაოები. დღის განმავლობაში, გზებზე, სადაც მენყრული პროცესები განვითარდა, მიმდინარეობს განმენდიითი სამუშაოები. ვცდილობთ, რომ ყველა იმ სოფელში მივიდეთ, სადაც ადამიანებს, შესაძლოა, ჩვენი დახმარება სჭირდებათ. მთელი ღამის განმავლობაში გაგრძელდა სამუშაოები. დღის განმავლობაში, მუშაობდა 200 მეხანძრე-მაშველი. საძიებო სამუშაოებში, როგორც ნაგებობები, ასევე დრონი და კინოლოგიური სამსახური იყო ჩართული.
ამ დროისთვის, არის გარკვეული ლოკაციები, სადაც უშუალოდ ტრანსპორტის საშუალებით ვერ მოხერხდა მისვლა, თუმცა ფეხით მისვლები ვართ ყველგან. თითოეულ მოქალაქესთან გვაქვს კომუნიკაცია, როგორც სატელეფონო, ასევე პირადად, ადგილზე. საჭიროების შემთხვევაში, პროდუქტი იქნება ეს, თუ სხვა საჭირო საშუალებები, რა თქმა უნდა, მივანვლით“, – განაცხადა თემურ მღებრიშვილმა.
ამ ეტაპზე, სტიქიის ზონიდან უსაფრთხო ადგილზე გადაყვანილია 50-მდე მოქალაქე. ნაპოვნი სამი ცხედარი, მათ შორის, ორი – მოზარდის.

გურიის რეგიონში სამაშველო ღონისძიებები აქტიურ რეჟიმში მიმდინარეობს



გურიის რეგიონში, სტიქიის ზონაში, შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მეხანძრე-მაშველები, საგანგებო რეჟიმში მუშაობას განაგრძობენ.
ამ ეტაპზე, მეხანძრე-მაშველების მიერ გადარჩენილი და უსაფრთხო ადგილზე გადაყვანილია 50-მდე ადამიანი, მათ შორის, მცირეწლოვნები და არასრულწლოვანები. ნაპოვნი ორი ცხედარი და ერთი მოზარდის მიმართ გრძელდება სამძებრო სამუშაოები.
საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსმა თემურ მღებრიშვილმა, სტიქიის ზონიდან, მიმდინარე ღონისძიებებთან დაკავშირებით, მედიასთან კომენტარი გააკეთა.
„გურიაში, უხვი ნალექის შედეგად, ადიდდა მდინარეები, უხვმა ნალექმა გამოიწვია მენყრული პროცესები, რითაც ჩაიხერგა რამდენიმე ათეული სოფლის მისასვლელი გზები, ასევე, სამწუხაროდ, გვაქვს მსხვერპლი, ერთ-ერთ სოფელში, ნგრევის შედეგად, მოხუცი ქალბატონი მოჰყვა სახლში, რომელიც ამოსვენებულია მეხანძრე-მაშველების მიერ. ასევე, ერთ-ერთ სოფელში, მოზარდის ცხედარია ნაპოვნი და გადასვენებულია პროზექტურაში. ამ დროისთვის, მიმდინარეობს ერთი მოზარდის ძებნა-შველის ღონისძიება. მობილიზებულია, როგორც საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის 200 თანამშრომელი, ასევე პოლიციის დანაყოფები, მუნიციპალური სამსახურები და ინფრასტრუქტურის ქვეკონტრაქტორი მძიმე ტექნიკა, რომლის საშუალებით მიმდინარეობს სოფლამდე მისასვლელი გზების განმენდიითი სამუშაოები.
ამ დრომდე შემოსულია 400-ზე მეტი მეტყობინება, ზოგი ერთმანეთის იდენტურია. მიმდინარეობს თითოეული ზარის და მისამართის გადამოწმება. ძირითადად ეს არის საცხოვრებელი სახლების პირველი სართულების დატბორვებთან დაკავშირებული მეტყობინებები, სადაც უკვე მეხანძრე-მაშველების მიერ, ამოტუმბვით სამუშაოები მიმდინარეობს. 50-მდე მაცხოვრებელი საფრთხის შემცველი ზონებიდან უსაფრთხო ადგილებზეა გამოყვანილი.
ამ ეტაპზე, არის ისეთი ადგილები, სადაც საჭიროა ბოლომდე მისვლა, ითხოვენ გამოყვანასაც, ამის გამო ჩვენ მობილიზებული გვყავს მაღალი გამავლობის მძიმე ტექნიკა, რისი საშუალებითაც მოვახდენთ შესვლას იმ სოფლებში, სადაც ჩამონოლილი მენყრის გამო ვერ მოხერხდა ბოლომდე მისვლა.
ამ ეტაპზე, ვერტმფრენის ჩართულობა არ არის საჭირო, იყო მობილიზება ვერტმფრენის, თუმცა რთულმა მეტეოროლოგიურმა პირობებმა, ამ მხრივ, ცოტა შეგვაფერხა, თუმცა ვერტმფრენის ჩართვის საჭიროება არ დადგა“, – განაცხადა თემურ მღებრიშვილმა.







# რა ქონებას ფლობს ზურაბ გირჩი ჯაფარიძე



## 2016 წელს შევსებული დეკლარაციის დეტალები

მასპა რუხაძე

ზურაბ გირჩი ჯაფარიძის „გირჩი – მეტი თავისუფლებისთვის“ და ელენე ხოშტარიას „დროა“ წინასაარჩევნოდ უკვე შეწყვილდნენ. მართალია, თავიდან „ტრიო“ იყო ჩაფიქრებული, მაგრამ მას შემდეგ, რაც გიორგი ვაშაძე, თავისი „სტრატეგია აღმაშენებელი“ ნაციონალური მოძრაობის მისთვის კარგად ნაცნობ და კომფორტულ, მაგრამ ძველ ნავში გადახტა, 2024 წლის არჩევნებისთვის მზადებას „დეუტი“ განაგრძობს. ვინაიდან „ვერსიის“ მკითხველები ელენე ხოშტარიას ქონებრივ დეკლარაციას უკვე გაეცნენ, ამჯერად ზურაბ გირჩი ჯაფარიძის დეკლარაცია განვიხილოთ და ვნახოთ, რა ქონებას ფლობს პროფესიით ექიმი პოლიტიკოსი, რომელიც ხან მარიხუნას კულტივირებითაა დაკავებული პირდაპირ ეთერში, ხან – შარვალჩახდილი, შიშველი უკანალით აპროტესტებს რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციას და ხანაც – ერთი მხრივ, სამხედრო სამსახურისგან ათავისუფლებს იმ ქვეყნის მოქალაქეებს, რომლის 20% რუსეთის მიერაა ოკუპირებული, ხოლო იმავე ნაბიჯით, მეორე მხრივ – ამავე ქვეყნის აბსოლუტური უმრავლესობის რელიგიურ არჩევანს ანუ მართლმადიდებლობას შეურაცხყოფს...

### ზურაბ გირჩი ჯაფარიძის ბიოგრაფია

ვიდრე ქონებრივ დეკლარაციას გავეცნობით, თვალი ზურაბ გირჩი ჯაფარიძის ბიოგრაფიას გადავავლოთ. ქართული „ვიკიპედიის“ ცნობით, გირჩი ჯაფარიძე დაიბადა 1976 წლის 1 იანვარს. „ქართველი ექიმი, პოლიტიკოსი, ახალი პოლიტიკური ცენტრის – გირჩის დამფუძნებელი. 2020 წლის 26 დეკემბერს, პარტია „გირჩი – მეტი თავისუფლება“ დააფუძნა“, – ვკითხულობთ „ვიკიპედიაში“.

1999 წელს, დაამთავრა თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი – „მომავლის ექიმი“, ზოგადი პროფილის ექიმის სპეციალობით; 2005 წელს, დაამთავრა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (სახელმწიფო მმართველობა) და შემდეგ ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტის ბიზნეს სკოლა; 2005-2011 წლებში, ლექციებს კითხულობდა საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტში, თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტსა და საქართველოს უნივერსიტეტში; 2012-2015 წლებში, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრი იყო; 2012-2016 წლებში, საქართველოს მე-8 მოწვევის პარლამენტის წევრი გახდა, პარტიული სიით და საარჩევნო ბლოკით: „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა – მეტი სარგებელი ხალხს“; 2013 წელს, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ ზურაბ ჯაფარიძეს საპრეზიდენტო არჩევნებში თავის კანდიდატად განიხილავდა, მაგრამ პარტიამ საბოლოოდ მხარი დავით ბაქრაძეს დაუჭირა. პარტიის დატოვებამდე, მისი აღმასრულებელი მდივანი იყო; 2015 წლის მაისში, პავლე კუბლაშვილთან, გიორგი ხაჩიძესთან და გიორგი მელაძესთან ერთად, დატოვა „ნაციონალური მოძრაობა“ და ჩამოაყალიბა ახალი პოლიტიკური პარტია

„გირჩი“; 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებში, კენჭს იყრიდა დიდუბე-ჩუღურეთის მაჟორიტარულ ოლქში, „გირჩის“ სახელით.

2016 წელს, დააფუძნა პოლიტიკური პარტია „გირჩი“. პარტია საქართველოში, მარიხუნას ლეგალიზაციის მთავარი ინიციატორი იყო და ამის ნიშნად, პარტიის ოფისში, დარგეს მარიხუნა. არის „გირჩის“ პოლიტიკური საბჭოს წევრი. 2020 წლის 18 დეკემბერს, განაცხადა, რომ აფუძნებდა მეორე პოლიტიკურ პარტია „გირჩს“. ამის მიზეზი გახდა პარტიის შიგნით არსებული განხეთქილება და პარტიის გაყოფა. 2020 წლის 11 დეკემბრიდან 2021 წლის 16 ნოემბრამდე, საქართველოს მე-10 მოწვევის პარლამენტის წევრი იყო პარტიული სიით და საარჩევნო ბლოკით: „გირჩი“.

2018 წლის 16 აპრილს, ზურაბ ჯაფარიძემ დაადასტურა, რომ 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში „გირჩის“ კანდიდატი იქნებოდა; 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე, ჯაფარიძემ პორნო-საიტ Pornhub-ზე საკუთარი საარჩევნო ბანერები განათავსა: „მეტი სექსი, მეტი თავისუფლება“; „მე არ გპირდებით ზომის გაზრდას“. გირჩი საიტზე საკუთარი რეკლამის განთავსების მიზეზად მცირე ბიუჯეტის ეფექტიანად ხარჯვას ასახელებდა.

ჯაფარიძემ არჩევნებში 36 034 (2,26%) ხმა მიიღო. მეორე ტურში მან მხარი დაუჭირა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატ გრიგოლ ვაშაძეს, თუმცა შემდგომში უკან წაიღო მხარდაჭერა.

ქართული „ვიკიპედიის“ ცნობით, ზურაბ გირჩი ჯაფარიძე მემარჯვენე ლიბერტარიანელია და პროდასავლური ხედვები აქვს. ის ემხრობა საქართველოს ინტეგრაციას ნატო-სა და ევროკავშირში. ჯაფარიძე აქტიურად იბრძვის დაბალი გადასახადებისა და „მცირე მთავრობის“ იდეისთვის. ის ემხრობა ქვეყანაში საქართველოში კანაფის ლეგალიზაციას და მთავრობის დეცენტრალიზაციის იდეას. ჯაფარიძე თვლის, რომ ადამიანს აქვს უფლება, „უქნას თავის სხეულს ის, რაც უნდა“ ანუ ადამიანი არ უნდა დააპატიმრონ ნარკოტიკის, ან მარიხუნას მოხმარების გამო.

### ზურაბ გირჩი ჯაფარიძის ქონება

2022 წლის 16 ნოემბერს, ზურაბ გირჩი ჯაფარიძეს პარლამენტის მანდატი შეუნყვიტეს. მის ნაცვლად, დეპუტატი გირჩის „მეფე“, ჰერმან საბო გახდა. რაც შეეხება ქონებრივ დეკლარაციას, ვიდრე მანდატს შეუნყვიტდნენ, გირჩი ჯაფარიძე ქონებრივი დეკლარაციის არშეგების გამო, 1 000 ლარით დააჯარიმეს. შესაბამისად, ყველაზე ახალი ანუ ბოლოს შევსებული დეკლარაცია 2016 წლის 6 იანვართი თარიღდება.

ამ დეკლარაციიდან ირკვევა, რომ ზურაბ გირჩი ჯაფარიძეს ჰყავს მეუღლე – ნატა ქორიძე და შვილები – ალექსანდრე რაზმაძე და ეკატერინე ჯაფარიძე. დეკლარაციის შევსების მომენტში არა, მაგრამ წყვილს მესამე შვილიც ჰყავთ – კოსტა ჯაფარიძე.

დეკლარაციაში მითითებულია, რომ გირჩი ჯაფარიძის საკუთრებაშია 105 კვ.მ. ფართობის ბინა თბილისში, გაბაშვილის ქუჩაზე, ხოლო მეუღლე – ნატა ქორიძე ფლობს 78 კვ.მ. ფართობის ბინას თბილისში, წყნეთის გზატკეცილზე. თბილისი ბანკში, ზურაბ ჯაფარიძეს 25 496 აშშ დოლარის ანაბარი, ხოლო საქართველოს ბანკში, ნატა ქორიძეს – 16 413 აშშ დოლარის ანაბარი ჰქონია.

ზურაბ ჯაფარიძის, როგორც პარლამენტის წევრის შემოსავალი 60 285 ლარი ყოფილა, ხოლო ნატა ქორიძის, როგორც ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატში, ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხთა კოორდინაციის დეპარტამენტის უფროსის შემოსავალი – 44 660 ლარი.

როგორც აღვნიშნეთ, დეკლარაცია შევსებულია 2016 წელს, მას შემდეგ შვიდი წელი გავიდა და ცხადია, ამ ხნის მანძილზე ბევრი რამ შეიცვლებოდა, თუმცა ზურაბ გირჩი ჯაფარიძეს არ დაუდეკლარირებია.

გასული კვირის ბოლოს პოლიტიკური „სკანდალი“ პრემიერ-მინისტრის ჩარტერულ რეისს უკავშირდება აშშ-ში, სადაც ირაკლი ღარიბაშვილმა მისი ვაჟი ჩააცილა, რომელიც პენსილვანიის უნივერსიტეტში განაგრძობს სწავლას. ოპოზიციის წარმომადგენლები ამუნათებენ ღარიბაშვილს, რომელიც ჩარტერული რეისით საკუთარი სახსრებით გაფრინდა, არადა, მაშინ, როდესაც თვითონ იყვნენ ხელისუფლებაში, ბიუჯეტის ხარჯზე დაფრინავდნენ ყველგან და არც ძვირადღირებულ გართობას იკლებდნენ... მოკლედ, ვიდრე ოპოზიცია და მათთან გათანაბრებულები ცარიელ ჭიქაში ქარიშხალს ხელოვნურად ინვევენ, „ვერსია“ პრემიერ-მინისტრის ანგარიშის განხილვას აგრძელებს და ამჯერად, ჯანდაცვისა და სოციალური პოლიტიკის ნაწილს გადავაზობთ.

ჯანდაცვა

ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, ხარისხიანი და საყოველთაოდ ხელმისაწვდომი, სოციალური სამართლიანობის პრინციპზე დაფუძნებული ჯანმრთელობის დაცვის სისტემის შენარჩუნება და შემდგომი განვითარება ქვეყნის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია. დღეის მდგომარეობით, საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით მოცულია მოსახლეობის 94.7%. პროგრამის დაწყებიდან დღემდე, სამ მილიონ მოქალაქეს, 11 მილიონი სამედიცინო შემთხვევა, 7 მილიარდი ლარით დაუფინანსდა. სამედიცინო სერვისებზე საყოველთაო ხელმისაწვდომობის მისაღწევად, თითქმის ხუთჯერ გაიზარდა ჯანდაცვაზე სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი თანხები (2012 წელი – 450 მილიონი ლარი, ხოლო 2022 წელი – 2 155 მილიონი ლარი).

„მოსახლეობისთვის თანაგადახდასთან დაკავშირებული ფინანსური ტვირთის შემცირების მიზნით, 2023 წლის აპრილიდან, დაწესდა საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში ჰოსპიტალურ მომსახურებაზე თანაგადახდის მაქსიმალური ზედა ზღვარი. საპენსიო ასაკის პირებისთვის თანაგადახდის წილი შეადგენს 10%-ს, მაგრამ არა უმეტეს 500 ლარისა; 0-5 წლის ბავშვების, შშმ ბავშვების, მკვეთრად გამოხატული შშმ პირებისა და სტუდენტებისთვის – 20%-ს, არა უმეტეს 1 000 ლარისა; საბაზისო პაკეტის მოსარგებლებისთვის კი – 30%-ს, არა უმეტეს 1 500 ლარისა (ისეთ მომსახურებაზე, რომლის ღირებულება აღემატება დადგენილებით განსაზღვრულ ლიმიტს – 15 000 ლარს, პაციენტის თანაგადახდის წილი კვლავ დარჩება უცვლელი). შედეგად, პაციენტი მხოლოდ იმ თანხას გადაიხდის, რასაც საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში თანაგადახდის წილი ითვალისწინებს. გამორიცხულია კლინიკის მიერ დამატებითი გადასახადის დაწესების შესაძლებლობა“, – ვკითხულობთ პრემიერის ანგარიშში.

ჯანდაცვის სერვისების სექტორის გაფართოვების მხრივ, მნიშვნელოვანია 2022 წელი – ე.წ. საყოველთაო ჯანდაცვის მეოთხე ეტაპი, როდესაც საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა უკვე ფარავს სერვისების სრულ სექტორს, მწვავე დაავადებების მართვიდან, რეაბილიტაციამდე. სხივური, ჰორმონალური და ქიმიოთერაპიის ლიმიტი 12 000-იდან გაიზარდა 25 000 ლარამდე, მოიხსნა თანაგადახდა. მოიხსნა ასაკობრივი შეზღუდვა გულის რითმის რთული დარღვევის დროს ნაჩვენებ სამედიცინო ჩარევებზე, კერძოდ, კარდიოვერტერ-დეფიბრილატორებისა და აბლაციის ნაწილში.

ირაკლი ღარიბაშვილის განცხადებით, მიმდინარე წლის დასაწყისში დაიწყო მნიშვნელოვანი რეფორმები ხარისხიან მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიმართულებით. ამ სფეროში ერთ-ერთი წარმატებული ნაბიჯია თურქეთის ბაზრის გახსნა და მეზობელი ქვეყნიდან იმ მედიკამენტების იმპორტი, რომლებზეც მოსახლეობის დანახარჯები მნიშვნელოვნად მაღალი იყო. დღეს საქართველოს სააფთიაქო ქსელებში ხელმისაწვდომია თურქეთიდან იმპორტირებული 550-ზე მეტი დასახელების მედიკამენტი, რომელიც არის იმავე ხარისხის და უფრო იაფი

# ჯანდაცვა და სოციალური პოლიტიკა პრემიერ-მინისტრის ანგარიშში



ირაკლი ღარიბაშვილი: „ხარისხიანი და საყოველთაოდ ხელმისაწვდომი, სოციალური სამართლიანობის პრინციპზე დაფუძნებული ჯანმრთელობის დაცვის სისტემის შენარჩუნება და შემდგომი განვითარება ქვეყნის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია“

და მათი რაოდენობა ყოველდღიურად მზარდია. მისი თქმით, 2023 წლის 15 მარტიდან, 1 450 მეტ ნამალზე მოქმედებს რეფერენტული ფასი, რაც 40%-ით კიდევ უფრო გააიარებს მედიკამენტებს.

„მედიკამენტების ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით, 2022 წლიდან ამოქმედდა ფარმაცევტული პროდუქტების ხარისხის უზრუნველყოფის ერთ-ერთი არსებითი მექანიზმი და ფარმაცევტული დაწესებულებებისთვის სავალდებულო გახდა GMP/GDP – კარგი სანარმოო პრაქტიკის/კარგი სადისტრიბუციო პრაქტიკის სტანდარტებთან შესაბამისობა. 2022-2023 წლებში გაიკა 50 საბითუმო დისტრიბუტორის GDP სტანდარტთან შესაბამისობის სერტიფიკატი. ასევე ორი ფარმაცევტული წარმოებისთვის გაიკა ნაციონალურ GMP სტანდარტთან შესაბამისობის სერტიფიკატი. ქვეყანაში არსებული მედიკამენტების ხარისხის კონტროლის მიზნით, აღიჭურვა და შესაფარისი კვალიფიკაციის პერსონალით დაკომპლექტდა წამლის ხარისხის ლაბორატორია. დაწყებულია კონსულტაციები საერთაშორისო აკრედიტაციის მიღების ეტაპებზე“.

სოფლად ბაზისური ჯანდაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობის შენარჩუნებისა და ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, მიმდინარეობდა პირველადი ჯანდაცვის რეფორმის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებები. 2023 წლიდან, ექიმისა და ექთნის შრომის ანაზღაურება გაიზარდა, რისთვისაც ბიუჯეტიდან დამატებით გამოიყო 3 424 800 ლარი. სოფლის ექიმის ხელფასი გახდა 1 162 ლარი, ხოლო ექთნის – 918 ლარი. მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობისთვის მიმდინარეობს ყოველთვიური სახელფასო დანამატის გაცემა, ჯამში, 1 037 ადამიანზე. კერძოდ, ექიმზე – 520 ლარი (დარიცხული) და ექთანზე – 260 ლარი (დარიცხული).

„ამოქმედდა ტელემედიცინის საშუალებით სამედიცინო სერვისის მიწოდება 50 სოფელში. მიმდინარე წლის ბოლომდე, ევროკავშირის დაფინანსებით,

დაგეგმილია სოფლებისთვის ტელემედიცინის დამატებით 50 სისტემის გადაცემა. ტელემედიცინის პროექტის ფარგლებში, 2023 წლის მონაცემებით, უკვე ჩატარდა 1 043 ონლაინ-კონსულტაცია. საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამასთან ერთად, ხორციელდება 23 მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამა, რომელთა საშუალებით, 2022 წელს, 604 000 ბენეფიციარისთვის 595 მილიონი ლარით დაფინანსდა 2 200 000-ზე მეტი მომსახურება. პრიორიტეტული რჩება და გრძელდება C ჰეპატიტის ელიმინაციის სახელმწიფო პროგრამა, რომლის მოქმედების მანძილზე ქრონიკული C ჰეპატიტის გავრცელება 67%-ით შემცირდა. პრიორიტეტად რჩება არაგადამდები დაავადებების პრევენცია და მათთან დაკავშირებული ტვირთის შემცირება. 2023 წლის აპრილში, საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა „არაგადამდები დაავადებების სტრატეგია 2023-2030 წლებისთვის“. არაგადამდებ დაავადებებს შორის, გასულ წელს, განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა კიბოს დიაგნოსტიკისა და მართვის, ასევე, შაქრიანი დიაბეტის მართვის გაუმჯობესებაზე“.

2022 წლიდან დაიწყო 18 წლამდე ასაკის პირებისთვის გლუკოზის უწყვეტი მონიტორინგის სისტემების (CGM) გადაცემა, რისთვისაც პროგრამის ბიუჯეტში, 2022 წელს, 5.4 მილიონი, ხოლო 2023 წელს – 6 მილიონი ლარია გამოყოფილი. დღეისთვის, დიაბეტით დაავადებული 737 ბავშვი სარგებლობს ერთ-ერთი ყველაზე ზუსტი, ხარისხიანი და ოფიციალური ავტორიზაციის მქონე მონიტორინგით, რომელიც წარმატებით გამოიყენება მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში.

პრემიერ-მინისტრის განცხადებით, აქტიური მუშაობა ჩატარდა დიალიზის სერვისებზე გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის მიმართულებით. 2022 წელს, დიალიზის სერვისის დაემატა მესტიაში, ყაზბეგში, თიანეთში, ამბროლაურსა და ლანჩხუთში. დღეის მდგომარეობით,

დასასრული მე-8 გვერდზე

მარეობით, დიალიზის სერვისის ხელმისაწვდომია უკვე 39 დაწესებულებაში და იგეგმება კიდევ 12 სერვისის ცენტრის დამატება.

„2022 წლიდან, ახალი სახელმწიფო პროგრამა განხორციელდა, რომლის ფარგლებშიც ფინანსდება ღვიძლისა და ძვლის ტვინის ტრანსპლანტაცია, ტრანსპლანტაციის წინა კვლევები, მაღალდოზირებული ქიმიოთერაპია და პოსტტრანსპლანტაციური პერიოდის მართვა. აღსანიშნავია, რომ სახელმწიფოს ახალი პროგრამით, ტრანსპლანტაცია ფინანსდება საქართველოს ყველა მოქალაქისთვის. პროგრამის ფარგლებში, 2 მილიონ ლარზე მეტით უკვე დაფინანსდა 16 ადამიანის ძვლის ტვინის ტრანსპლანტაცია, ხოლო 420 000 ლარით დაფინანსდა 6 ადამიანის ღვიძლის ტრანსპლანტაცია“.

რეფერალური დახმარების პროგრამის ბიუჯეტის 95%-იან ზრდასთან ერთად, გაიზარდა როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ მკურნალობის დაფინანსების მასშტაბი. 2022-2023 წლებში, რეფერალური დახმარების პროგრამით დაფინანსდა 111 მილიონ ლარზე მეტი ღირებულების მომსახურება, მათ შორის, საზღვარგარეთ მკურნალობისთვის გაცემულ იქნა 14 მილიონ ლარზე მეტი. ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები მოსახლეობისთვის სამედიცინო შემთხვევების დაფინანსებამ 10 მილიონ ლარზე მეტი შეადგინა. 2022 წლის თებერვლიდან, საქართველომ დაიწყო უკრაინიდან საომარი მოქმედებების დროს ჩამოსული მოსახლეობის სამედიცინო საჭიროებების დაკმაყოფილებაზე ზრუნვა. მხოლოდ რეფერალური პროგრამის ფარგლებში, უკვე დაფინანსებულია 1.5 მილიონ ლარზე მეტი ღირებულების შემთხვევები. გარდა აღნიშნული პროგრამისა, უკრაინის მოქალაქეებისთვის გათვალისწინებულია საყოველთაო და მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამებით დაფინანსება და სხვა სოციალური ბენეფიტები.

„სახელმწიფოსთვის კრიტიკულად მნიშვნელოვანია, მოსახლეობას მომსახურებას უწყვეტდენ მაღალკვალიფიციური ექიმები, თუმცა სახელმწიფო ვალდებულია, იზრუნოს მათი შრომის პირობებისა და უფლებების დაცვაზე. სწორედ ამ მიზნიდან გამომდინარე, წელს ამოქმედდა მინიმალური ანაზღაურების მექანიზმი ექიმებისა და ექთნებისთვის. დამსაქმებლისთვის გაჩნდა ვალდებულება, რომ ექიმს ყოველ საათში აუნაზღაუროს შრომა, არანაკლებ საათში 7 ლარისა, ხოლო ექთანს – არანაკლებ 4.4 ლარისა. იმისთვის, რომ აღნიშნული ვალდებულება იქნეს დაცული და პერსონალთან უკლებლივ მივიდეს კუთვნილი ანაზღაურება, სამინისტროს შრომის ინსპექციის სამსახური, ელექტრონული სისტემის საშუალებით, რუტინულად ახორციელებს პერსონალისთვის გადახდილი ხელფასის კანონთან შესაბამისობას. ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მოქმედ, სპეცდაფინანსებაზე არსებულ სამედიცინო დაწესებულებებში დასაქმებული პერსონალის მწირი სახელფასო ანაზღაურების გათვალისწინებით, 2022 წლის აგვისტოდან, განხორციელდა პერსონალის სახელფასო ფონდის 50%-ით გაზრდა“.

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციამ 2023 წლის 5 მაისს, პანდემია ოფიციალურად დასრულებულად გამოაცხადა. ირაკლი ლარიბაშვილის განცხადებით, ქვეყანამ გაიარა ურთულესი სამი წელიწადი. სახელმწიფომ ნამდვილად გამოიყენა ყველა შესაძლო ბერკეტი და რესურსი, რათა ადამიანებისთვის მაქსიმალურად აერიდებინა მოსალოდნელი საფრთხეები. მისი თქმით, დღეს, მთავარი პრიორიტეტია ადამიანზე ორიენტირებული ჯანდაცვის სისტემის ჩამოყალიბება, რათა არავინ დარჩეს საჭირო სამედიცინო დახმარების გარეშე. საქართველოს მთავრობის მიერ, 2022 წლის მაისში დამტკიცებული საქართველოს 2022-2030 წლების ჯანმრთელობის დაცვის ეროვნული სტრატეგია არის ის სახელმძღვანელო-დოკუმენტი, რომელიც 2030 წლისთვის, ქვეყანას ჯანდაცვაზე საყოველთაო ხელმისაწვდომობის სამიზნეობით მიიყვანს.

სოციალური პოლიტიკა

სოციალური სამართლიანობისა და ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული სოციალური დაცვის სისტემის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, მთავრო-

# ჯანდაცვა და სოციალური პოლიტიკა პრემიერ-მინისტრის ანგარიშში



ბა აგრძელებს მოწყვლადი ჯგუფების მხარდაჭერას სხვადასხვა ტიპის მიზნობრივი სოციალური პროგრამების განხორციელების გზით. ასე, მაგალითად, პენსიის ინდექსაციის წესის შესაბამისად, 2023 წელს, სახელმწიფო პენსიის ოდენობა 70 წლამდე მოსახლეობისთვის განისაზღვრა 295 ლარით, ხოლო 70 წლისა და მეტი ასაკის ხანდაზმულთათვის – 365 ლარით. სახელმწიფო პენსიის ზრდის შესაბამისად, მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრებმა პენსიონერებმა მიიღეს გაზრდილი დანამატი, პენსიის 20%-ის ოდენობით. 2022 წელს გაიზარდა სოციალურად დაუცველი ბავშვების დახმარება და 1 ივნისიდან, 150 ლარი შეადგინა. 2023 წლის 1 ივლისიდან, დახმარება კიდევ გაიზარდა და 232 000-ამდე ბავშვი ყოველთვიურად 200 ლარს მიიღებს, რისთვისაც სახელმწიფო ბიუჯეტიდან 465 მლნ ლარი გამოიყო.

„ადამიანური კაპიტალის პროგრამის ფარგლებში, რომელიც 2022 წელს დაიწყო მსოფლიო ბანკთან თანამშრომლობით, სხვა საკითხებთან ერთად, მიმდინარეობს მიზნობრივი ფულადი დახმარების სისტემის დახვეწა-მოდერნიზაცია. 2022 წელს, განხორციელდა თბილისის ჩვილ ბავშვთა სახლის დეინსტიტუციონალიზაცია. შეიქმნა სამი მცირე საოჯახო ტიპის სახლი, სადაც განთავსდნენ არასრულწლოვანები. აღნიშნულ მცირე საოჯახო ტიპის სახლებში, ბავშვებისთვის უზრუნველყოფილია ოჯახურ გარემოსთან მაქსიმალურად მიახლოებული და მათ ინდივიდუალურ საჭიროებებზე ორიენტირებული ზრუნვა და განვითარება. ბავშვების ნაწილი, მათი ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, მუდმივად აგრძელებს მკურნალობას შესაბამის სამედიცინო დაწესებულებებში და უახლოეს პერიოდში, მათთვის დაგეგმილია ხანგრძლივი მოვლის სერვისის გახსნა. 2022 წელს, აქტიურად განხორციელდა ფერიისა და ნინონმინდის პანსიონებიდან ბავშვების ალტერნატიული ზრუნვის დაწესებულებებში გადაყვანის პროცესი. ამჟამად, ფერიის პანსიონში, სახელმწიფო ზრუნვაში იმყოფება მხოლოდ ერთი არასრულწლოვანი, ხოლო ნინონმინდის პანსიონში ირიცხება ათი არასრულწლოვანი.

მიმდინარე ეტაპზეც, აქტიურად გრძელდება მუშაობა აღსაზრდელებისთვის ზრუნვის შესაბამისი მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით. კერძოდ, ბავშვების აზრისა და საუკეთესო ინტერესის გათვალისწინებით, 2022 წელს, თბილისში ამოქმედდა არასრულწლოვნის მიმართ განხორციელებული სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ბავშვებისთვის ფსიქოლოგიურ-სოციალუ-

რი მომსახურების ცენტრი, რომელიც მიახლოებულია „ბარნაჰუსის მოდელთან“ და სრულად შეესაბამება ევროპულ სტანდარტს. სექსუალური ძალადობის შემთხვევის გამოძიების დროს, ბავშვს უწევს ხანგრძლივი და სტრესული პროცესის გავლა სხვადასხვა დაწესებულებაში, რამაც შესაძლოა, გამოიწვიოს ბავშვის რეტრავმატიზაცია, ამიტომ მნიშვნელოვანია, არასრულწლოვანმა მომსახურება მიიღოს მასზე მორგებულ და მშვიდ გარემოში. ამჟამად აღნიშნულ ცენტრში სექსუალური ძალადობის მსხვერპლ ბავშვებს მომსახურება მიეწოდებათ ერთი ფანჯრის პრინციპით, ხუთი სახელმწიფო უწყების მონაწილეობით“.

2022 წლის 26 ოქტომბერს, დამტკიცდა „ბავშვებსა და მოზარდებში სუიციდის რისკის შეფასებისა და სუიციდის რისკზე რეაგირებისთვის საჭირო ინსტრუმენტები“, საპილოტე ვადით, რომელიც მიზნად ისახავს სუიციდის პრევენციის ხელშეწყობას ბავშვებსა და მოზარდებში. იგი გამიზნულია სოციალური მუშაკებისთვის, ფსიქოლოგებისთვის, ბავშვთა და მოზარდთა ზრუნვაში ჩართული სხვა სპეციალისტებისთვის. 2022 წელს, სსიპ სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს მიერ, ასევე დამტკიცდა „ბავშვზე განხორციელებული სექსუალური ძალადობის შემთხვევებზე რეაგირების სტანდარტი“.

„2022 წელს, „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის სახელმწიფო პროგრამის“ „მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფრით უზრუნველყოფის ქვეპროგრამას“ დაემატა დღის ცენტრისა და მობილური ჯგუფის მომსახურება ქალაქ ბათუმში. ასევე, ანტისოციალური და რთული ქცევის მქონე 12-18 წლის მოზარდების დღის ცენტრისა და რთული ქცევის მქონე ბავშვების სპეციალიზებული მცირე საოჯახო ტიპის სახლების მომსახურება, რომლის მიზანია, ქცევითი სირთულეების მქონე ბავშვებისთვის უზრუნველყოფილ იქნეს მათ საჭიროებებზე მორგებული, ინდივიდუალური მომსახურება. გარდა ამისა, გრძელდება დევნილთა და ეკომიგრანტთა საცხოვრებელი ფართებით უზრუნველყოფა. საანგარიშო პერიოდში, განსახლდა 2 556 დევნილი და 141 ეკომიგრანტი პირი, მათ შორის, დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი უზრუნველყოფის ღონისძიებების ფარგლებში, 118 დევნილი ოჯახი დაკმაყოფილდა ახალაშენებულ კორპუსებში მდებარე საცხოვრებელი ფართებით, განხორციელდა სოფლად სახლის პროექტის ფარგლებში 2 185 დევნილი ოჯახისათვის საცხოვრებელი ფართების შესყიდვა“.









## შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადება



შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მეხანძრე-მაშველებმა, გურიის რეგიონში, სტიქიის ზონაში, მესამე ცხედარი იპოვეს. ამ ეტაპზე, სტიქიის ზონიდან უსაფრთხო ადგილზე გადაყვანილია 50-მდე მოქალაქე. ნაპოვნია სამი ცხედარი, მათ შორის, ორი – მოზარდის.

შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსი თემურ მღებრიშვილი სტიქიის ზონაში რჩება და საგანგებო შტაბს უწევს კოორდინაციას.

გურიის რეგიონში, შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი დანაყოფებიდან მოზილიზებულია, როგორც ცოცხალი ძალა, ასევე მძიმე ტექნიკა, მცურავი საშუალებები და კინოლოგთა ჯგუფი. სტიქიის ზონაში მონიტორინგი სპეციალური დროებითი მიმდინარეობს.

## პოლიციამ თბილისში მოხდარი მკვლელობისა და დაჭრის ფაქტი ცხელ კვალზე გახსნა – დააკავებულა ერთი პირი



შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, წარსულში ნა-სამართლევი, 1992 წელს დაბადებული ვ.შ., ორი პირის მიმართ დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი განზრახ მკვლელობის მცდელობის ბრალდებით დააკავეს.

დანაშაული 16-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა თბილისში, შელაპარაკების ნიადაგზე დაწყებული ფიზიკური დაპირისპირებისას, ორი პირი – 1980 წელს დაბადებული ვ.დ. და 1985 წელს დაბადებული ს.დ., დანის გამოყენებით დაჭრა. მიყენებული ჭრილობების შედეგად, ვ.დ. საავადმყოფოში მიყვანიდან მალევე გარდაიცვალა, ხოლო ს.დ. – ს შესაბამისი სამედიცინო დახმარება უტარდება.

სამართალდამცველებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, ვ.შ. ბრალდებულის სახით დააკავეს. პოლიციამ დანაშაულის იარაღი – დანა ნივთმტკიცების სახით ამოიღო.

ორი პირის მიმართ დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილი განზრახ მკვლელობის მცდელობის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19-109-ე მუხლი „ლ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს.

## საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დელეგაცია ისრაელის ეროვნულ პოლიციას ოფიციალური ვიზიტით სტუმრობს

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე შალვა ბედოიძე, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე გიორგი ბუთხუზთან და უწყების ხელმძღვანელ პირებთან ერთად, ისრაელის ეროვნული პოლიციის კომისრის იაკოვ შაბთაის მოწვევით, ოფიციალური სამუშაო ვიზიტით ისრაელში იმყოფება.

შინაგან საქმეთა სამინისტროს დელეგაციის შემადგენლობაში ასევე შედიან: შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის დირექტორი თეიმურაზ კუპაბაძე და ამავე დეპარტამენტის დირექტორის მოადგილეები – ნიკოლოზ სამარლანიშვილი და ირაკლი დონდოლაძე.

სამუშაო ვიზიტის ფარგლებში, შინაგან საქმეთა სამინისტროს დელეგაცია შეხვედრებს გამართავს ისრაელის ეროვნული პოლიციის კომისარ იაკოვ შაბთაისთან და ისრაელის სამართალდამცავი ორგანოების სხვა ხელმძღვანელ პირებთან.

ისრაელის პოლიციის მუშაობის სპეციფიკის გაცნობის მიზნით, ვიზიტის ფარგლებში, დაგეგმილია შეხვედრები თელ-ავივის პოლიციის, ისრაელის ეროვნული კონტრტერორისტული დანაყოფის (YAMAM), იდენტიფიკაციისა და ექსპერტიზის დანაყოფის, იერუსალიმის ძველი ქალაქის კონტროლისა და მართვის ცენტრის, საზღვაო პოლიციის, ასევე, სასაზღვრო პოლიციის სასწავლო დაწესებულების ხელმძღვანელ პირებთან.

ოფიციალური სამუშაო ვიზიტის ფარგლებში, მხარეები განიხილავენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და ისრაელის ეროვნულ პოლიციას შორის არსებული თანამშრომლობის შემდგომი განვითარების საკითხს.



## გურიის პოლიციამ ნარკოდანაშაულისთვის ორი პირი დააკავა, მათ შორის, ერთი ნარკორეალიზატორია



შინაგან საქმეთა სამინისტროს გურიის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ნარკოდანაშაულისთვის ორი პირი დააკავეს.

ნარკოტიკული საშუალების უკანონო გასაღების ფაქტზე, 1969 წელს დაბადებული ე.ბ., ხოლო ნარკოტიკული საშუალების უკანონო შექმნა-შენახვისთვის, წარსულში ნასამართლევი, 1971 წელს დაბადებული ვ.ბ. დააკავეს.

დანაშაულები 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. პოლიციამ, მოსამართლის განჩინების საფუძველზე ნარკოდანაშაულის გამოსავლენად, რამდენიმე ეტაპად, 40 დღის განმავლობაში განახორციელა კომპლექსური ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები და ფარული აუდიო-ვიდეო ჩანერა.

გამოძიებით დადგინდა, რომ ე.ბ., ქობულეთში არსებულ შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრში“ მუშაობდა, სადაც ის სამსახურებრივ მდგომარეობას დანაშაულებრივი საქმიანობისთვის იყენებდა და ნარკოტიკულ საშუალებას უკანონოდ ასაღებდა. კერძოდ, რეალიზაციის მიზნით, „ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრიდან“, მართლსაწინააღმდეგოდ, ეტაპობრივად ეუფლებოდა 860 ბენეფიციარისთვის განკუთვნილ ნარკოტიკს, რომელსაც ვ.ბ.-ზე უკანონოდ ასაღებდა.

სამართალდამცველებმა, ბრალდებულების პირადი და სამუშაო ადგილის ჩხრეკისას, ნივთმტკიცებად ამოიღეს 22 ცალი, 10-მილიგრამიანი შპრიცი, რომლებშიც ნარკოტიკული საშუალება „მეტადონი“ იყო მოთავსებული. ე.ბ.-ს საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას კი ნივთმტკიცებად ამოღებულია 2.5 ლიტრი „მეტადონის“ ხსნარი, რომელიც პლასტმასის სამ ბოთლში იყო გადახსნილი. პოლიციამ, ჩხრეკის ღონისძიების ჩატარების შემდეგ, შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი“ დალუქა. სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შენახვის, დიდი ოდენობით ნარკოტიკის გასაღებისა და ნარკოტიკის უკანონო შექმნა-შენახვის ფაქტებზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის პირველი, მე-3, მე-5 და მე-6 ნაწილებით მიმდინარეობს.

## ვახტანგ გომელაურმა სომხეთის რესპუბლიკის საგამოძიებო კომიტეტის თავმჯდომარესთან შეხვედრა გამართა

შინაგან საქმეთა მინისტრი ვახტანგ გომელაური, საქართველოში ოფიციალური ვიზიტით მყოფ სომხეთის რესპუბლიკის საგამოძიებო კომიტეტის თავმჯდომარე არგიშტი კიარამიანს შეხვდა.

შეხვედრის ფარგლებში, მხარეებმა ხაზი გაუსვეს საქართველოსა და სომხეთის რესპუბლიკას შორის არსებულ მჭიდრო და მეგობრული ურთიერთობების მნიშვნელობას სხვადასხვა მიმართულებით. ვახტანგ გომელაურმა ასევე აღნიშნა, რომ ორი ქვეყნის სამართალდამცავ უწყებებს შორის ჩამოყალიბებულია აქტიური და ნაყოფიერი თანამშრომლობა, რაც ქართული მხარისთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია. შეხვედრის მონაწილეებმა ყურადღება გაამახვილეს მხარეთა შორის გამოცდილებისა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების მნიშვნელობაზეც. ვახტანგ გომელაურმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ქართული მხარე ყოველთვის მზადაა, სომხურ მხარესთან სხვადასხვა მიმართულებით თანამშრომლობის გაფართოებაზე.

შეხვედრის დასასრულს, მხარეებმა სამომავლო ურთიერთობის პერსპექტივებზე ისაუბრეს და იმედი გამოთქვეს, რომ ერთობლივი ძალისხმევით, ქვეყნებს შორის არსებული თანამშრომლობა კიდევ უფრო გაღრმავდება.



# „ბორჯღალოსნებმა“ მსოფლიოს ჩემპიონატი მარცხით დაიწყეს



საქართველოს მორაგბეთა ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონატზე ასპარეზობა ავსტრალიასთან მარცხით დაიწყო. პირდაპირ ვთქვათ, მოულოდნელობა ის იქნებოდა, ჩვენებს რომ არ წაეგოთ, რადგან ავსტრალიელები არა მარტო ამ კონკრეტული მატჩის, არამედ, მთლიანად ტურნირის ფავორიტები არიან. მწვანე კონტინენტის წარმომადგენლებმა, საწყის ათ წუთში ორი ლელო დადეს და მიგვახვედრეს, რომ რამე მოულოდნელობასთან საქმე არ უნდა გვექონოდა.

ზოგადად, ქართველ მორაგბეებს ცუდად არ უთამაშიათ, მაგრამ რა თქმა უნდა, ეს ავსტრალიისთვის წინააღმდეგობის გასაწევად საკმარისი არ აღმოჩნდა. ლევან მაისაშვილის გუნდი, მომდევნო შეხვედრას 23 სექტემბერს, პორტუგალიასთან ჩაატარებს და ეს მატჩი აუცილებლად უნდა მოვიგოთ. პორტუგალია არაა ჩვენი კალიბრის ნაკრები და მათი დამარცხება გვმართებს.

# 8 სექტემბერს, წვიმიან „დინამო არენას“ მხოლოდ „აბა, ულა“ აკლდა...

საქართველოს ეროვნული ნაკრები ისტორიაში ყველაზე დიდი ანგარიშით დამარცხდა... დამარცხდა ძლიერ მეტოქესთან, მაგრამ მოდით, პირდაპირ ვთქვათ – გაგვიმართლა, რომ ანგარიში ორნიშნა არ იყო და მადლობა, ესპანელ ფეხბურთელებს, რომლებმაც მეორე ტაიმში თავი არ გაიგოყეს, ძალები შეინახეს მომავალი მატჩისთვის! ჩვენ კი... ჩვენ ნორვეგია გველის, თავის ერლინგ ჰალანდით, ვინც საუცხოო ფორმაშია და გოლების მანქანა, ასეთი დაცვის პირობებში, აუცილებლად იმუშავებს.

რა შეიძლება ითქვას ისეთი, რამაც შეიძლება, ოდნავ მაინც გაგვამართლოს? არც არაფერი, რადგან უსუსურზე უსუსური დაცვის, ნახევარდაცვის პრაქტიკულად არყოლის გამო, განწირულები ვიყავით. ბურთი კარისკენ ესპანეთმა 32-ჯერ დაარტყა, ანუ ყოველ 3 წუთში გვირტყამდნენ და პარადოქსია ისიც, რომ 7 გოლის გაშვების მიუხედავად, ჩვენს ნაკრებში საუკეთესო, მეკარე გიორგი მამარდაშვილი იყო.

ნამდვილად ვერ გეტყვით, რას მოიფიქრებს ვილი სანიოლი (წესით, უნდა გადამდგარიყო), მაგრამ მთელი საქართველო რომ გაიძახის, უგუნდოდ მყოფი გიორგი აბურჯანიას, ასაკში მყოფი გურამ კაშიასა და საბა კვიციანიას ადგილი ნაკრებში აღარ არის და ნუ დაუძახებო, ის კი ჯიუტად მაინც მათ ენდობა, ცოტა უცნაურია. უცნაურია ისიც, რომ ესპანელთა თავკაცმა ორი ცვლილება პირველივე ტაიმში განახორციელა, როცა მისი გუნდი 4:0-ს იგებდა, ლიდერები გაიყვანა, 16 წლის ორი ბავშვი შემოუშვა (ორივემ გაგვიტანა) და სანიოლი ჯიუტად დაელოდა პირველი



ტაიმის დასრულებას, ცვლილებები მერე გააკეთა. და ერთიც – არველაძეების, ქინქლაძის, ქეცბაიას თაობაზე ამბობენ, რომ დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში, საუკეთესო იყო (იყო კიდევ) და ეს ბიჭები ევროპისა თუ მსოფლიოს ჩემპიონატზე რომ ვერ მოხვდნენ, კვალიფიციური მწვრთნელის არყოლა იყო

მთავარი მიზეზი. ახლა ამბობენ, რომ ეს თაობა იმათ დაეტოლება და ისე არ მოხდეს, მერეც კვალიფიციური მწვრთნელის არყოლაზე ვინუნუნოთ. იმდენი მწვრთნელია უმუშევარი, რომლებიც ვილი სანიოლს ათი თავით სჯობიან, რომ სურვილის შემთხვევაში, ფედერაციას არჩევანის გაკეთება არ უნდა გაუჭირდეს.

# კალათბურთელთა ნაკრები ოლიმპიადის საგზურისთვის იბრძოლებს



დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში, გუნდურ სახეობებში, ოლიმპიადაზე არასოდეს ვყოფილვართ. ამ მიღწევასთან ახლოს, საქართველოს 21-წლამდელთა საფეხბურთო ნაკრები იყო, მაგრამ არ გამოგვივიდა. ახლა კი, პარიზის ოლიმპიადის საგზურის მოპოვებას საქართველოს საკალათბურთო ნაკრები შეეცდება. ამის უფლება ჩვენმა გუნდმა მსოფლიოს ჩემპიონატზე, საუკეთესო 16 ნაკრებში მოხვედრის შემდეგ მიიღო. საამისოდ კი შემდეგი გზის გავლა მოგვიწევს.

პარიზის ოლიმპიადაზე, სულ 12 ქვეყნის საკალათბურთო ნაკრები ითამაშებს. 12-დან რვა უკვე გარკვეულია – საფრანგეთი, როგორც ოლიმპიადის მასპინძელი და ახლახან დასრულებულ მსოფლიოს ჩემპიონატზე გაირკვა შეიდი ნაკრები კონტინენტების კვოტების მიხედვით – სამხრეთ სუდანი (აფრიკა), აშშ, კანადა (ორივე ამერიკა), იაპონია (აზია), სერბეთი, გერმანია (ორივე ევროპა), ავსტრალია (ოკეანეთი). შესაბამისად, დარჩენილია ოლიმპიადის ოთხი საგზური, რომელთა მფლობელთა ვინაობაც 2024 წლის 2-7 ივლისს გასამართ ტურნირზე გაირკვევა. ამ ოთხი საგზურისთვის 24 ნაკრები იბრძოლებს, მათ შორის, საქართველოც.

24 ნაკრები ექვსეულებად დაიყოფა და თამაშები ოთხ, სხვადასხვა ქვეყანაში გაიმართება. ფორმატი ასეთია: ეს ექვსეულები კიდევ შუაზე გაიყოფიან და სამ-სამი ნაკრები წრიულად ითამაშებს, ორ-ორი საუკეთესო, ჯვარედინი პრინციპით ნახევარფინალში დაწყვილდება, ფინალები კი ოთხ ჩემპიონს გამოავლენს, რომლებიც ოლიმპიადაზე გაემგზავრებიან. ოლიმპიადაზე, საკალათბურთო შეხვედრები 27 ივლისიდან 11 აგვისტოს ჩათვლით გაიმართება.

# კვარაცხელია, შესაძლოა, ტიფოზებისა და პრეზიდენტის დაპირისპირების მიზეზი გახდეს

ხვიჩა კვარაცხელიას გარშემო ატეხილი სკანდალი არ ცხრება. დიახ, სკანდალია ის, რომ ფეხბურთელის აგენტი კლუბის პრეზიდენტს უნდა შეხვედროდა, ამისთვის ნეაპოლშიც ჩავიდა, მაგრამ აურელიო დე ლაურენტიმ, მამუკა ჯუღელთან შეხვედრა არ ისურვა და ისიც საქართველოში დაბრუნდა. სტატიის ბოლოს, „ნაპოლის“ ყველა ფეხბურთელის წლიურ ჯამაგირს შემოგთავაზებთ და ზუსტ ციფრებს ნახავთ, რამდენი აქვს თითოეულ მათგანს და რამდენი რჩება გადასახადების გადახდის შემდეგ. 22-კაციან სიაში, კვარაცხელია ბოლოდან მესამე ადგილზეა და მასზე მაღალი ჯამაგირი... დიეგო დემეს აქვს. ეს გერმანელი ფეხბურთელი 31 წლისაა, პრაქტიკულად, არ თამაშობს, ყრუ სათადარიგოშია და კვარაცხელიაზე ორნახევარჯერ მეტ ხელფასს იღებს.

იტალიური მედია წერს, რომ ხვიჩა ასეთ მდგომარეობას უბრალოდ ვერ შეეგუება. იტალიის ჩემპიონატის გასული სეზონის საუკეთესო ფეხბურთელი, არა მარტო კლუბში, არამედ, მთელ იტალიაში, ერთ-ერთი, ყველაზე დაბალანაზღაურებადია და დე ლაურენტისი არაფრის შეცვლას არ აპირებს – მას კვარასთან კონტრაქტი 2027 წლამდე აქვს გაფორმებული, კანონი მის მხარესაა და თუ ქართველი ფეხბურთელი, მაგალთად, თამაშზე უარს იტყვის, მას უმკაცრესად არა მარტო კლუბი, არამედ, ფიფა და უეფა-ც დასჯიან.

არადა, 31 აგვისტომდე, დე ლაურენტისი, პრაქტიკულად, ყოველდღე ამბობდა, რომ კვარაცხელიასთან ახალი კონტრაქტის გაფორმება და, რა თქმა უნდა, ჯამაგირის გაზრდა იგეგმებოდა. თუმცა, გამოცდილმა საქმოსანმა ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ფეხბურთელის აგენტთან შეხვედრა 31 აგვისტომდე არ შემდგარიყო, რადგან სატრანსფერო ფანჯარა სწორედ ამ დღეს დაიხურა და ახლა პრეზიდენტი არც ახალ კონტრაქტზე საუბრობს, არც ხელფასის გაზრდაზე



და არც აგენტს ხვდება. რბილად რომ ვთქვათ, დე ლაურენტისმა კვარაცხელია და მისი გუნდი, უბრალოდ, გადაადგო და ახლა, იტალიური მედია ვარაუდობს, რომ კლუბის გულშემმატკივრები მოსთხოვენ პრეზიდენტს ქართველისთვის უკეთესი პირობების შექმნას. მანამდე კი, ცხადზე ცხადია, ახალი მწვრთნელი, რუდი გარსია პრეზიდენტის დაკრულზე ცეკვავს და კვარაცხელიას 90 წუთით თამაშის უფლებას არ აძლევს, რითაც ფეხბურთელს მიანიშნებს, რომ თუ დე ლაურენტისს მოუნდება, ის სათადარიგოთა სკამზე მარტივად აღმოჩნდება. რაც შეეხება ხელფასებს... პირველ გრაფაში მოცე-

მულია, თუ რა ოდენობის თანხა რჩებათ ხელზე ფეხბურთელებს, მეორე გრაფაში – რამდენი ერიცხებათ.

- ოსიმენი – 4.5 მილიონი ევრო (5.9 მილიონი ევრო);
- ზელინსკი – 3.5 მილიონი ევრო (6.4 მილიონი ევრო);
- ლობოტკა – 3.5 მილიონი ევრო (4.5 მილიონი ევრო);
- დი ლორენცო – 3.0 მილიონი ევრო (5.5 მილიონი ევრო);
- დემე – 2.5 მილიონი ევრო (3.2 მილიონი ევრო);
- რასპადორი – 2.5 მილიონი ევრო (4.6 მილიონი ევრო);
- ლინდსტრეტი – 2.3 მილიონი ევრო (3.6 მილიონი ევრო);
- ანგისა – 2.2 მილიონი ევრო (2.8 მილიონი ევრო);
- მარიო რუი – 2.1 მილიონი ევრო (3.8 მილიონი ევრო);
- მერეტი – 2.0 მილიონი ევრო (3.7 მილიონი ევრო);
- რაჰმანი – 1.8 მილიონი ევრო (3.3 მილიონი ევრო);
- სიმეონე – 1.7 მილიონი ევრო (3.1 მილიონი ევრო);
- ოლივეირა – 1.5 მილიონი ევრო (1.9 მილიონი ევრო);
- ელმასი – 1.5 მილიონი ევრო (1.9 მილიონი ევრო);
- კაიუსტე – 1.2 მილიონი ევრო (1.9 მილიონი ევრო);
- ნატანი – 1.1 მილიონი ევრო (1.7 მილიონი ევრო);
- ესტეგარდი – 1.0 მილიონი ევრო (1.3 მილიონი ევრო);
- ჟუან ჟესუსი – 1.0 მილიონი ევრო (1.85 მილიონი ევრო);
- კვარაცხელია – 1.0 მილიონი ევრო (1.3 მილიონი ევრო);
- გოლინი – 0.4 მილიონი ევრო (0.724 მილიონი ევრო);
- ძანოლი – 0.08 მილიონი ევრო (0.148 მილიონი ევრო).

P.S. სიტუაცია იმდენად დაიძაბა, რომ იტალიურმა ტელევიზიებმა საქართველოში მყოფ კვარაცხელიას აგენტს, მამუკა ჯუღელს დაურეკეს და პირდაპირ ეთერში, კითხვა კონტრაქტზე დაუსვეს. ჰოდა...

„ალენიშნავ, რომ ჩვენი მხრიდან კონტრაქტის განახლებაზე საუბარი არ დანებებულა. თუ დე ლაურენტისი გადანყვეტს, რომ სურს ხელშეკრულების გადახედვა, ჩვენ მოლაპარაკებებისთვის მზად ვართ. უკმაყოფილი არც ჩვენ ვართ, არც კლუბი, ჩვენს შორის მეგობრული შეხვედრები ყოველთვის იმართება, ხვიჩას მარტო ნეაპოლში არასდროს ვტოვებთ, აქ ან მე ვარ, ან მამამისი. უკმაყოფილოები რომ ვიყოთ, აქამდე მოვახერხებდით საუბარს. აურელიოს უარი არაფერზე უთქვამს და რაც დაგვიპირდა, დროზე ადრე შეასრულა, პრეტენზიის საფუძველი არ გაგვაჩნია, კლუბსა და ჩვენს შორის გაუგებრობა არ არსებობს“...

P.P.S. ხვიჩას ყიდვა, ამ ზაფხულს, ინგლისურ „ნიუკასლს“ სურდა და ფეხბურთელს წლიურად ათმილიონიან ხელფასს სთავაზობდნენ. ცოტა არ იყოს, ძნელი დასაჯერებელია, ათჯერ მეტ ხელფასს რომ გთავაზობენ და „პრეტენზიის საფუძველი არ გაგვაჩნია“.





### სინთეტიკურ ალკოჰოლს გამოუშვებენ



ბრიტანული ლაბორატორია – GABA Labs, Alcarelle-ის ალკოჰოლის სინთეტიკური ანალოგის შექმნაზე მუშაობს. სასმელი უზრუნველყოფს დამამშვიდებელ ეფექტს ნაბახუსევებისა და სხვა გვერდითი მოვლენების გარეშე. Alcarelle უგემური ნივთიერებაა, რომლის დამატებაც შესაძლებელია სხვა სასმელებში – ალკოჰოლურშიც და უალკოჰოლოშიც, რათა დამატარებელი ეფექტი ნეგატიური მოვლენების გარეშე მიიღონ. სინთეტიკური სასმელის შექმნელები იმედოვნებენ, რომ პროდუქტი გაყიდვაში 2026 წლისთვის გამოვა. მასზე უკვე დიდი ხანია მუშაობენ, მაგრამ მარეგულირებელი ორგანოებიდან დადებითი პასუხის მიღების პროცესი დროში გაიწელა.

### კაბრალესი – ყველაზე ძვირიანი ყველი



პირენეებზე, ქალაქ არენას-დე-კაბრალესში, ყოველწლიურად იმართება კონკურსი საუკეთესო ყველის გამოსავლენად. გამარჯვებული პროდუქტი კი აუქციონზე საკმაოდ ძვირად იყიდება. წელს, ოვიედოში მდებარე რესტორანმა – Llagar de Colloto კოლოსალური თანხა – 30 ათასი ევრო გადაიხადა კაბრალესის ნატურალური ყველის ერთ ნაჭერში, რომლის წონაც სულ 2.2 კილოგრამი იყო. ამგვარად, მსოფლიო რეკორდი დამყარდა ყველაზე ძვირადღირებულ ყველში. კაბრალესის ყველი ხელთ მზადდება ძროხისა და თხის რძისგან, რამდენიმე თვის განმავლობაში „მწიფდება“ მღვიმეში, რომელიც ზღვის დონიდან 1500 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს. ადგილობრივი ტენიანი პირობები ხელს უწყობს პენიცილინისმაგვარი ობის განვითარებას, რომელიც ყველზე დამახასიათებელ, ლურჯ-მწვანე ზოლებსა და ლაქებს აჩენს.

### რობოტები მოსწავლეებსაც ჩაანაცვლებენ



ამომავალი მზის ქვეყანაში, სკოლებში იმ რობოტების დაწერვა დაიწყეს, რომელთაც მოსწავლეები უნდა ჩაანაცვლონ იმ შემთხვევაში, თუკი მათ სკოლაში სიარულის ეშინიათ. ჩინოვნიკები იმედოვნებენ, რომ ეს ბავშვებს დაეხმარება, ურთიერთობას მიეჩვიონ და კლასებში დაბრუნდნენ. მოსწავლე-რობოტები სასწავლო შენობებში თავისუფლად გადაადგილებას შეძლებენ. მათი დახმარებით, მოსწავლეები ყველა გაკვეთილს დაესწრებიან, მონაწილეობას მიიღებენ დისკუსიებსა და სხვა დამატებით ღონისძიებებში. თავად ბავშვები აღნიშნავენ, რომ ეს სიახლე მოსწონათ. ვირტუალური კლასი ეხმარება მოსწავლეებს თვითშეფასების ამაღლებაში, ასევე, ნაკლებად ღელავენ მასწავლებლებსა და თანაკლასელებთან ურთიერთობისას.

### ევანგელისტა მძიმე სენს ებრძვის



კანადელმა სუპერმოდელმა, ლინდა ევანგელისტამ ბოლო რამდენიმე წელიწადი ნებაყოფლობით შინაპატიმრობაში გაატარა – ნარუმატებელმა პლასტიკურმა ოპერაციამ არ დაინდო მისი ლამაზი სახე და მშვენიერი სხეული. თუმცა, ეს არ არის ყველაზე უარესი, რაც მოდელს დაემართა. ხუთი წლის წინ, მას მკერდის კიბოს დიაგნოზი დაუსვეს. ლინდას ორმხრივი მასტექტომიის წარმატებული ოპერაცია ჩაუტარდა. გასულ ზაფხულს კი აღმოაჩინა, რომ სიმსივნე არ გამეკრალა. მისი მკურნალი ექიმები არ მალავენ, რომ დაავადების დაბრუნების შანსი კვლავ მაღალი იქნება. „ერთი ფეხი სამარეში მიდგას“, – ამბობს ლეგენდარული მოდელი, – „ამიტომ ვხარობ ყოველი გათენებული დღით, ახლაც ცოცხალი რომ ვარ, ეს ბონუსია“.



## ახალდაქორწინებულებს ფულს გადაუხდიან



ჩინეთის ჩანშანის პროვინციაში, ათას იუანს გადაუხდიან ახალდაქორწინებულებს, თუკი პატარძალი 25 წელზე ნაკლები ასაკისაა. ამ აქციით, ხელისუფლებას სურს, ახალგაზრდებს ოჯახის შესაქმნელად და ბავშვების გასაჩენად სტიმული მისცეს. 2022 წელს, ჩინეთში სულ 6.8 მილიონი ქორწინება დარეგისტრირდა და 1986 წლის შემდეგ, ეს რეკორდულად დაბალი მაჩვენებელია. კარიერის გამო, ქალებს არ სურთ ბავშვის გაჩენა, თანაც ქვეყანაში არ მიესალმებიან ბავშვების ქორწინების გარეშე გაჩენას ანუ ქორწინების რიცხვი პირდაპირ უკავშირდება შობადობას.

## ჯაშუშური ტანსაცმელი შექმნეს



აშშ-ის სპეცსამსახურებმა 22 მილიონი დოლარი დახარჯეს ჯაშუშური ტრუსების შექმნაზე. სიახლემ გარშემო მიმდინარე პროცესები ხელების დახმარების გარეშე უნდა დააფიქსიროს. ჯაშუშური ტრუსების ამოცანაა, ჩაინეროს აუდიო და ვიდეო, ასევე, გადასცეს გეოლოკაცია, – აცხადებს ამერიკის დაზვერვის სფეროში მონიწივე კვლევების სააგენტო. იგეგმება პერანგების, შარვლების, წინდებისა და სხვა სახის თეთრეულის შექმნაც, ანალოგიური ფუნქციებით.

## ნაყინი შაშხიტაც დაამზადეს



იმ დროს, როცა ორცხობილის, ხილისა და შოკოლადის ნაჭრები ნაყინში უკვე ჩვეულებრივ ამზად მიიჩნევა, მაინც ვერავინ წარმოიდგენს, რომ ამ ცივ დესერტში შეიძლება ხორცის ნაჭრებიც აღმოჩნდეს. ოჯახური ფერმა – Windy Brow, რომელიც ნიუ-ჯერსიში მდებარეობს, ნაყინს 2013 წლიდან ამზადებს, თუმცა მხოლოდ ახლა გადანყვიტეს, რომ საკუთარი კლიენტები უჩვეულო ნაყინით გაეხარებინათ და მასში შაშხი დაამატეს. ხორცის ნაჭრები ცივ ტკბილეულში მეტად უხეშად რომ არ გამოჩნდეს, მას ჯერ წვავენ, შემდეგ შაქრისა და დარიჩინის ნარევი აკარამელიზებენ. ნაყინში ცაცხვის სიროფს უმატებენ, რაც შაშხის გემოს შესანიშნავად გამოკვეთს. ამ უცნაური პირის ჩასატკბარუნებელის ღირებულება 3-დან 6.5 დოლარამდეა, მისი წონიდან გამომდინარე. ნაყინის მწარმოებლები ითვალისწინებენ, რომ ხორციანი ნაყინის გემომ, შესაძლოა, დააფრთხოს კლიენტები, ამიტომ მათ მოუწოდებენ, „ნუ იმსჯელებენ წიგნზე, მისი ყდის მიხედვით“.

## „სვიკინი“ – ახალი საცურაო კოსტიუმი

Before SWIKINI

After SWIKINI



ნისლიან ალბიონზე უნიკალური საცურაო კოსტიუმი შექმნეს, რომელიც იდეალურად ახდენს ფიგურეს კორექტირებას და „ბიკინის“ იმიტაციას ქმნის. ამიტომ მას „სვიკინი“ უწოდეს. ბრიტანული „გარდიანის“ ცნობით, მისი დიზაინი სამი შვილის დედამ, სამანტა ბრინდლიმ შექმნა. სიახლე ფარავს სტრეის მუცელზე, რომელიც მშობიარობის შემდეგ ჩნდება. დიზაინი ოპტიკურ ილუზიას ეფუძნება – ის გამოიყურება, როგორც „ბიკინი“, თუმცა სინამდვილეში, საცურაო კოსტიუმი მთლიანია. „სვიკინის“ ავტორი ამბობს, რომ სურს, დაეხმაროს იმ ქალებს, რომელთაც ზღვაზე „ბიკინით“ ყოფნა სურთ, მაგრამ სტრეის გამო, მისი ტარების რცხვენიათ.

# მწვანე ჩაი ინსულტის რისკს ამცირებს




ავსტრალიელმა მეცნიერებმა, ჩინელ კოლეგებთან ერთად, ჩინეთში დაავადებათა სტატისტიკა შეისწავლეს. ამ გამოკვლევების შედეგად დადგინდა, რომ მწვანე ჩაის ხშირი და ხანგრძლივი მოხმარება მნიშვნელოვანწილად ამცირებს იშემიური ინსულტის – ტვინის რომელიმე ნაწილის სისხლით მომარგების დარღვევის რისკს. ავსტრალიელმა სწავლულებმა ჩინეთის საავადმყოფოებში 400-მდე პაციენტი გამოიკვლიეს, რომელთაც ინსულტი გადაიტანეს და კიდევ 500-მდე ადამიანი – საკონტროლო ჯგუფის რანგში. იშემიური ინსულტის რისკის მნიშვნელოვანი შემცირება აღინიშნებოდა, სულ მცირე, კვირაში ერთი ფინჯანი მწვანე ჩაის მიღების შემდეგაც კი, ხოლო ყველაზე მეტად ეს რისკი მათში მცირდებოდა, რომლებიც ამ სასმელს ყოველდღიურად, ერთ ან ორ ფინჯანს მაინც სვამდნენ. ჯერჯერობით, დაუდგენელია ის ბიოლოგიური მექანიზმები, რომლებიც მწვანე ჩაის ამ თვისებას უკავშირდება. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ჩაის კომპონენტებს შეუძლიათ არტერიული წნევის დაწვევა, ასევე, ხელს უშლის თრომბების წარმოქმნასა და ათეროსკლეროზის განვითარებას.

# ფულს ნახევარი საწოლის გაქირავებით შოულობს



ავსტრალიელმა „მენარმემ“, მონიკა ჯერემიამ თვეში 500 გირვანქა სტერლინგის გამომუშავება შეძლო. ამ გზით მან აუცილებელი თანხა დააგროვა და სამოდელი კომპანია გახსნა, რაც მისი ოცნება იყო. ფულის შოვნა კი მონიკამ საკუთარი საწოლის ნახევრის გაქირავებით მოახერხა, რომელსაც ორი წლის განმავლობაში, მისი ყოფილი შეყვარებული იკავებდა. ეგრეთ ნოდებული, „ცხელი საწოლი“ აწყობს ქალსაც, რადგან თავადაც „არასდროს არის მარტო“. ეს შეთავაზება იმ ადამიანებისთვის არის, რომლებსაც შეუძლიათ ემოციურად განშორება და ძილი სხვა ადამიანის გვერდით, ყოველგვარი ვალდებულების გარეშე. მონიკას პირველი კლიენტი მისი ნაცნობი იყო, რამაც ბიძგი მისცა მისი ბიზნესის განვითარებას.

# უკვდავი ცხოველი აღმოაჩინეს



ცოცხალი ნინ, ამერიკელი ბიოლოგების ჯგუფმა აღმოაჩინა ცხოველი, რომელსაც მუდმივად ცხოვრება შეუძლია. ეს უკვდავი არსება მედუზა Turritopsis Nutricula-ა. ის ტროპიკული ზღვების ფსკერზე ბინადრობს და ძალიან მცირე, დაახლოებით, 3-5 მილიმეტრის ზომისაა. ყველაზე საინტერესო ის არის, რომ ამ მედუზამ საკუთარი თავის გაახალგაზრდავება ისწავლა. როცა მისი ორგანიზმი ზრდასრულ მდგომარეობას აღწევს, ის არ კვდება, ფსკერზე ეშვება და ქიტინის (ორგანული ნივთიერება, რომლისგანაც შედგება კანი ანუ გარეთა საფარველი) ქერქით იფარება, რის შემდეგაც, ის პოლიპად იქცევა. ქიტინის ქვეშ მედუზის ყველა უჯრედი სრულად ახლდება და ორგანიზმი ზრდასრულიდან კვლავ საწყის მდგომარეობაში გადადის. ამის შემდეგ გაახალგაზრდავებული მედუზა ქიტინის საფარიდან გამოდის და ცხოვრების ციკლს აგრძელებს დაბერებამდე, მერე კვლავ განახლების პროცესი იწყება. ასე კი, შესაძლოა, უსასრულოდ გაგრძელდეს. ამჟამად, მეცნიერები ამ ფენომენის კვლევას აგრძელებენ.

# თმის ცვენის მიზეზს მიაგნეს



იაპონელი მეცნიერები ამტკიცებენ, რომ აღმოაჩინეს მიზეზი, რის გამოც ადამიანებს, ასაკის მატებასთან ერთად, თავზე თმის რაოდენობა უმცირდებათ. კოსმეტიკური კომპანია „კაო კორპორეიშნის“ სპეციალისტებმა თმის დაბერების გენი გამოიკვლევს. მისი აქტიურობის ხარისხი უკუდამოკიდებულია განვლილ წლებზე. იაპონელი სწავლულები ვარაუდობენ, რომ ეს აღმოჩენა ხელს შეუწყობს, ეფექტიანად შეებრძოლონ თმის ცვენის პრობლემას და შედეგად, ადამიანი მოხუცებულობამდე ხშირ და ხარისხიან თმას შეინარჩუნებს. ცნობილია ისიც, რომ ეს გენი სისხლძარღვების წარმოქმნის მექანიზმში მონაწილეობს. აქედან გამომდინარე, „კაოს“ სპეციალისტები ასკვნიან, რომ სისხლის ცირკულირების სტიმულირებისას, გენი თმის ძირებს ეხმარება იმ ნივთიერებების მიღებაში, რაც აუცილებელია მათი ზრდისა და სიმარტისთვის.

# აპენდიციტს უოპერატოდ მკურნალობენ



ფინელმა სწავლულებმა, ტურკუს უნივერსიტეტიდან, ექსპერიმენტი ჩაატარეს მწვავე აპენდიციტის სამკურნალოდ – აპენდექტომიითა (ამოკვეთით) და ანტიბიოტიკებით. მედიკოსები დაკვირვებას ხუთი წლის განმავლობაში ახორციელებდნენ. როგორც ისინი აცხადებენ, 530 პაციენტიდან 257 – ანტიბიოტიკ „ერთაპენემით“ მკურნალობდა, მისი მიღება სამ დღეს იყო საჭირო. ერთი კვირის შემდეგ, ისინი „მეტრონიდაზოლსა“ და „ლევოფლოქსაცინს“ იღებდნენ. მათ აღდგენით პროცესს 11 დღით ნაკლები დასჭირდა, ვიდრე პირველი ჯგუფის პაციენტებს. სწავლულებმა დაადგინეს, რომ ხუთი წლის განმავლობაში, ბრმა ნაწლავის განმეორებითი ანთებითი პროცესის ალბათობა 39% აღმოჩნდა. ამასთან, გართულება მხოლოდ პაციენტთა 6.5%-ში იყო შემჩნეული, ხოლო ოპერაციაგადატანილებში – 25.4% შეადგინა.

# პირველი ეკოსასაფლაო გახსნეს



ბელგიურ ფლანდრიაში, მსოფლიოში პირველი ეკოსასაფლაო გაიხსნა. ამ უჩვეულო სამარხზე აკრძალულია საფლავის ქვის დადგმა, ბილიკის მიყვანა, მაგიდების გამართვა. მიცვალებულის დამარხვა კი მხოლოდ ბიოხრნადი კუბოთია ნებადართული, რომელსაც გადამუშავებული მასალებით ამზადებენ. ახალი სასაფლაო 600-ადგილიანია, თუმცა ეს ადგილები არ იყიდება, მხოლოდ 25-წლიანი იჯარით გაიცემა. პროექტის ავტორების გათვლით, სწორედ ამდენი დროა საჭირო, რომ ადამიანის გვამი ბუნების ნაწილად იქცეს. სასაფლაოზე ყველა ობიექტი (მაგალითად, სკამები და ადგილის მაჩვენებელი ნიშნები) კუნძებისა და გამოსხივებული ხეებისგანაა დამზადებული. ნაკვეთის გასწვრივ კი ალუბლის ხეები იზრდება. მათ ტოტებზე, გარდაცვლილთა ახლობლებს შეუძლიათ, ჩიტებისთვის სახლები ჩამოკიდონ, რომლებზეც მიცვალებულის საპატივსაცემოდ, მის სახელს დაანერენ.

# საქორწინო კაბა ტომრებისგან შეკერა



ჩინეთის ქალაქ ლუნანში მცხოვრებმა გოგონა ტან ლილი, რომელიც ფერმაში მუშაობს, წვიმის გამო სახლში დარჩა. როგორც თავად ამბობს, მონყენილობის ნიადაგზე, გადაწყვიტა, კაბა შეეკერა ცემენტის 40 ტომრისგან, რომლებიც რემონტის შემდეგ დარჩა. გოგონას მანამდე უკვე ჰქონდა კაბები გაკეთებული გაზეთებისგან, ბალახისგან, ყვავილებისგან და სხვა უჩვეულო მასალებისგან. ასე რომ, საკმაოდ დიდი გამოცდილება ჰქონდა. გარდა კაბისა, ტომრებისგან მან გრძელი შლეიფი და შლაპაც შეკერა. ჩინურ ინტერნეტში, სადაც მან ფოტოები გამოაქვეყნა, ლილის უკვე შეარქვეს „ცემენტის დედოფალი“.

# დადლილობას ვირუსი იწვევს?

ადამიანის ხშირი დადლილობა, შესაძლოა, ვირუსით იყოს გამოწვეული – ასეთ დასკვნამდე მივიდნენ აშშ-ის უაიტ-პეტერსონის ინსტიტუტის სპეციალისტები. მათი კვლევებით დადგინდა, რომ იმ ადამიანებს, რომლებიც ქრონიკული დადლილობით იტანჯებიან, სისხლში ვირუსი აღმოაჩნდათ, რომელიც XNRY-ის სახელითაა ცნობილი. ეს ვირუსი ცხოველური წარმოშობისაა და უნარი აქვს, იცხოვროს ადამიანის ორგანიზმშიც. როგორც აღმოჩნდა, ეს ვირუსი იმ პაციენტთა 67%-ში არსებობს, რომლებიც მუდმივ ფიზიკურ თუ ფსიქოლოგიურ დადლილობას უჩივიან. დადგინდა ისიც, რომ ის საგრძნობლად ასუსტებს ადამიანის იმუნურ სისტემას. ამერიკელი სწავლულების ამ აღმოჩენის შედეგად, სპეციალისტები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ შეიძლება, ქრონიკული დადლილობა ადამიანს ავადმყოფობად ჩაეთვალოს და მას შესაბამისი მკურნალობაც დაენიშნოს. აღსანიშნავია, რომ დღეისთვის, მსოფლიოში ქრონიკული დადლილობის სინდრომით 17 მილიონი ადამიანი იტანჯება.

# „პოპკორნის“ მოყვარულებს საფრთხე ემუქრებათ?



აშშ-ის გარემოს დაცვის სააგენტომ სერიოზული კვლევა დაიწყო იმასთან დაკავშირებით, რომ სახლის პირობებში, „პოპკორნის“ მომზადებისას, ცხელი ზეთიდან ფილტვებისთვის საშიში ნივთიერებები გამოიყოფა. ერთ-ერთი მათგანია დიაცეტილი – ეს არომატიზატორია, რომელსაც ზეთში უმატებენ. ამერიკელი მეცნიერების მოსაზრებით, ეს ნივთიერება ფილტვების მძიმე დაავადებას იწვევს, რომლის დროსაც, ორგანოს გადანერგვა ხდება საჭირო. სწავლულების თქმით, აშშ-ის სხვადასხვა შტატში უკვე გამოვლენილია ამ დაავადების რამდენიმე შემთხვევა იმ მუშებში, რომლებიც „პოპკორნის“ დამამზადებელ საწარმოებში მუშაობენ. არ არის გამორიცხული, რომ ნეგატიურ როლს სხვა არომატიზატორებიც ასრულებდნენ, რომლებსაც ზეთი გამოჰყოფს. ამერიკელი სპეციალისტები „პოპკორნის“ მწარმოებლებს ურჩევენ, პროდუქტის მოსამზადებლად ჩვეულებრივი ზეთი გამოიყენონ და არა ის, რომელიც ნახევარფაბრიკატს მოჰყვება თან. თუმცა, მათი თქმით, ნებისმიერ შემთხვევაში, „პოპკორნი“ მაინც მავნე საჭმელია და ვინც საკუთარ ჯანმრთელობაზე ზრუნავს, სჯობს, ის საერთოდ არ მიირთვას.

# კლინიკაში სამუშაოდ ასტროლოგი აიყვანეს



არგენტინაში, ბუენოს-აირესის ერთ-ერთ კლინიკაში, პაციენტები თერაპიას მხოლოდ ექიმებთან არ გადიან. პიროვანოს ჰოსპიტალმა ოფიციალურად მიიღო სამსახურში სპეციალისტი, რომელიც კვირაში ერთხელ ატარებს სემინარებს ასტროლოგიაში. კლაუდია რიკოს „ვარსკვლავური“ თერაპია სტანდარტული მკურნალობის დამატებაა, მაგალითად, დეპრესიული აშლილობისას. ამგვარი „მკურნალობისას“, ასტროლოგი ადგენს ავადმყოფების ვარსკვლავურ რუკას და მათი ჰოროსკოპის მიხედვით, ჰყვება პაციენტის წარსულს და პროგნოზირებს მომავალს.

# ცოლი ქმარზე ჭკვიანი უნდა იყოს



ინგლისელი სწავლულები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ბედნიერი და მტკიცე ის ოჯახებია, სადაც ცოლი ქმარზე ხუთი წლით მაინც არის უმცროსი და მასზე ჭკვიანია. ჩატარებული კვლევებისას, რომლის დროსაც სპეციალისტებმა 1.5 ათასი წყვილის ურთიერთობა გააანალიზეს, დაასკვნეს, რომ ხანგრძლივი ქორწინება იმ ოჯახებშია უზრუნველყოფილი, სადაც ქმარი მეუღლეზე უფროსია. წინააღმდეგ შემთხვევაში, განქორწინების შანსები სამჯერ მატულობს. იდეურად კი მიიჩნიეს ის წყვილები, სადაც ცოლი ქმარზე ჭკვიანიცაა. გარდა ამისა, სწავლულებმა ისიც დაადგინეს, რომ ის ოჯახები, სადაც ერთ-ერთი მეუღლე უკვე იყო განქორწინებული, უფრო მტკიცეა, ვიდრე წყვილი, სადაც ორივე პარტნიორი უკვე იყო დაქორწინებული. სიტუაციაში გარკვევის შემდეგ, მკვლევარებმა დაასკვნეს, რომ მეორე ნახევრის არჩევისას, ყურადღება არა მხოლოდ ფიზიკურ მომხიზვლელობასა და საერთო ინტერესებს უნდა მიაქციონ, არამედ, წინასწარ შეაფასონ კიდევ მისი ასაკი და განათლება.

# რამდენი ხილია საჭირო ბედნიერებისთვის?



დიდი ბრიტანეთისა და ავსტრალიის უნივერსიტეტების სწავლულებმა კვლევა ჩაატარეს, რომლის დროსაც გაარკვიეს, რომ გარკვეული რაოდენობის ხილისა და ბოსტნეულის მუდმივი მოხმარება ადამიანს ბედნიერებას ანიჭებს და მას სამყაროზე ოპტიმისტურ შეხედულებას უყალიბებს. ექსპერიმენტში, რომელიც ექვსი წელიწადს გრძელდებოდა, ავსტრალიის 12.5 ათასი მოქალაქე მონაწილეობდა. ამ დროის განმავლობაში, ისინი დღიურს ანარმოებდნენ, სადაც სრულად აღწერდნენ საკუთარ განცდებს. კვლევების შედეგად დადგინდა, რომ რვა ხილისა და ბოსტნეულისგან შემდგარ ულუფას, რომელსაც ადამიანი ყოველდღიურად იღებს, მისთვის ბედნიერების რეალური შეგრძნება მოაქვს. შეიძლება, ეს იმ გრძნობას შევადაროთ, რასაც უმუშევარი განიცდის, როცა სასურველ სამსახურს იშოვის.

**ვერსია**  
მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.  
UDC(უაპ)070.48:32(479.22)3-387

ღამუშანებელი და მთავარი რედაქტორი  
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77  
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე  
e-mail: versiaprinti@yahoo.com      www.versia.ge  
ტელ: +995 32 294 23 99

ISSN 1987-8699  
9 771987 1869003

დაცულია საავტორო უფლებები.  
რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.